



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი
(ქისლავი)
№11 (484)
(5782)
2021

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

დღეს ნომერშია:



მიხეილ
მირილაშვილის
ტექნოლოგიური
სიახლის
პოპულარობა
დღითიდღე იზრდება.

„ხესედ ელიაჰუს“ ახალი
ხელმძღვანელი იაკობ
პალაგაშვილი „ხესედის“
წარსულსა და მომავალზე
მე-2 გვ.



ებრაულ სამყაროში
მე-3 გვ.

მხატვარი
ქალის
მემუარისტის
მე-4-5 გვ.





რისთვის
იღწვოდა,
როგორ
ირჯებოდა
ბორის
ფინჩაძე?
მე-6 გვ.



რაბი არონ მდინარაძე
კვირის მთავარ
საკითხავზე.

იაკობ გაგულაშვილის
„მამის ნამბორბი“.



რეუვენ ენოხის
ცხოვრების
მთავარი წიგნი
მე-7 გვ.

ჩვენი
კორესპონდენტი
ევროპაში
თიკო თევზაძე
შორეული
ქვეყნების
ებრაული
თემებზე
მე-8 გვ.



რვა შეკითხვა „ხესედ ელიაჰუს“ ხელმძღვანელს იაკობ პალაგაშვილს

1. მკითხველის წინაშე თვითნარდგინება ჩვენი რედაქციის ტრადიციაა: გთხოვთ მკითხველს გააცნოთ თქვენი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპები: ვიდრე საქართველოს ებრაელობისათვის ერთობ მნიშვნელოვან ორგანიზაციას - „ხესედ ელიაჰუს“ ჩაუდგებოდით სათავეში, რა საქმიანობას ეწეოდით?

— მოგესალმებით და მივესალმები საქართველოში დამოუკიდებელი ებრაული გაზეთის — „მენორას“ ყველა მკითხველს. 30 წლის საიუბილეო თარიღამდე სულ რაღაც 1,5 წელი გაშორებთ. მინდა სიკეთე, წინსვლა და მრავალი წარმატება გისურვოთ.

მოხარული ვარ თქვენს წინაშე წარვადგინო ჩემი თავი. პროფესიით გახლავართ ბეზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის კურსდამთავრებული. ჩემი კარიერული სვლა დაიწყო 2008 წელს „თიბისი ბანკში“, საბანკო სივრციდან მალევე გადავიწვინაცვლე სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი პოლდინგში“, სადაც საინტერესო ხალხთან ერთად საკამაოდ მნიშვნელოვანი პროექტების თანამონაწილე გახლდით. 2017 წლიდან ონკოლოგიური პაციენტების მომსახურების ხარისხზე დავიწყებულ ვინროპროფილურ სამედიცინო დაწესებულებაში - „სიხიური მედიცინის ცენტრი“. ფაქტიურად სამივე კომპანიაში ჩემი მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო ადამიანებზე ზრუნვა, მათი პრობლემების დროულად მოგვარება და სხვადასხვა თხოვნაზე, თუ საჭიროებაზე სწრაფ და ეფექტურ უკუკავშირის მოხდენა.

2. რას იტყოდით, როგორ დაახასიათებდით ორგანიზაციას, რომლის მეთაურიც გახდით, როგორი დაგხვდათ იგი, როგორ შეაფასებდით თანამშრომელთა პროფესიონალიზმს, შრომის კულტურას, მზაობას იმ საქმის კეთებისათ-

ვის, რომელიც „ხესედს“ აკისრია?

— მინდა ხაზი გავუსვა და პატივისცემით მოვიხსენიო ბატონი რეზო შათაშვილი, ვისი ხელმძღვანელობითაც გასული წლების განმავლობაში ორგანიზაციამ ღირსეულად გადალახა უამრავი სირთულე და გამოწვევა. დაკისრებული საქმე ძალზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. „ხესედის“ თითოეული თანამშრომელი გამოირჩევა საკუთარი საქმის სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით.

3. გთხოვთ მკითხველს კიდევ ერთხელ განუმარტოთ: როგორია „ხესედის“ მუშაობის პრინციპი: რა კრიტერიუმით ირჩევიან პირები, რომლებსაც უნდა დაეხმაროთ?

— პირი, რომელსაც სურს გახდეს „ხესედის“ ბენეფიციარი - კლიენტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად კრიტერიუმს

- ეროვნება;
- ებრაელი;
- ებრაელის ოჯახის წევრი;
- ძირითადი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხდება დამატებითი ქვეკრიტერიუმების განხილვა:

1. საქართველოს მოქალაქე, საპენსიო ასაკის პირები: ქალბატონები 60 წლიდან, მამაკაცები 65 წლიდან;

2. 18 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I, II, ან III ჯგუფის ინვალიდები);

3. „ხესედის“ სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (IV ჯგუფი).

4. ყოველ ახალ ხელმძღვანელს თან სიახლაც მოაქვს. თქვენ თუ აპირებთ დანერგოთ რაიმე სიახლე, ან იქნებ, უკვე დანერგეთ?

— არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო,

თუმცა ავლიწინავ, რომ ცვლილებები, სიახლეები იქნება როგორც საორგანიზაციო, ისე საოპერაციო მიმართულებებით, რაშიც „ხესედის“ გუნდის და ჩვენი თემის წევრების თანადგომის დიდი იმედი მაქვს.

5. თქვენ არა მხოლოდ „ხესედის“ ხელმძღვანელი, სათემო ებრაელთა სახლის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელიც ხართ. თბილისის ებრაელთა სათემო სახლში რამდენიმე ორგანიზაციაა. რა სიახლეებს უნდა ველოდეთ სათემო სახლის მართვის საკითხში?

— არსებული სტრუქტურულიდან გამომდინარე, სათემო ებრაელთა სახლში ყველა მოქმედ ორგანიზაციას (საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ფონდი „ხესედი ელიაჰუს“, ებრაელთა კულტურული ცენტრი „JCC“, ებრაული ოჯახის სერვისი „JFS“) მართავს ორგანიზაციის უშუალო დირექტორი, შესაბამისად ჩემს კომპეტენციაში შედის მხოლოდ „ხესედის“ საკითხებზე ზრუნვა, რაც არ გამოიცხადება დანარჩენი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან თუ თითოეულ თანამშრომელთან მჭიდრო კავშირს და საერთო საქმეში (ებრაელი ხალხის სამსახურში) მონაწილეობის მიღებას. ყველა ებრაელი პასუხისმგებელია ერთმანეთზე.

6. „ხესედის“ სამზრუნველო პირი მხოლოდ ებრაელები არ არიან. სხვა ერების შვილებსაც ეხმარებოდით. ეს ტრადიცია გაგრძელდება?

7. რომელ საერთაშორისო ებრაულ ორგანიზაციებს უნდა ვუმაღლოდოთ საქართველოს ებრაელობაზე ასეთ ზრუნვას - „ხესედი ელიაჰუს“ არსებობას?

დონორების (დამფინანსებელი) საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია, ფონდები, ორგანიზაციები და ასევე კერძო პირები, რომელთა შორის გამოვყოფდი ჯონითის ყველაზე მსხვილ დონორებს:

- ჩრდილოეთ ამერიკის ებრაული თემების ფედერაციებისა და JFNA-ს პარტნიორობით;
- კონფერენცია თემაზე - ებრაელთა მატერიალური პრეტენზიები გერმანიის წინააღმდეგ;
- საქველმოქმედო ორგანიზაცია world Jewish relief (ლონდონი);
- ჰარი და ჯენეტ ვაინბერგების ფონდი, ბალტიმორი, მერილენდი, აშშ;
- მორის და ვივიენ უოლბის საქველმოქმედო ფონდი;
- ქრისტიანთა და ებრაელთა საერთაშორისო ასოციაცია რაბინი იეჟიელ ექსტინი, პრეზიდენტი „რა ბედნიერებაა, როდესაც ძმები თანხმობით თანაცხოვრობენ (ფსალმუნი 133:1)

8. „ხესედი ელიაჰუს“ არსებობაში მონაწილეობენ თუ არა ქართველი ებრაელი ბიზნესმენები?

— საბედნიეროდ და ამავე დროს სამწუხაროდ, სადღეისო მდგომარეობით, „ხესედის“ ამოცანებს და მოქმედ პროგრამებს მხოლოდ ჯონითიდან მიღებული სახსრები ხმარდება. იყვნენ ქართველი ებრაელი - ფიზიკური პირები, ვინც სხვადასხვა წლებში ერთჯერადი შემოწირულობის სახით გაიღეს თანხები, თუმცა თავიანთი ვინაობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე თანხმობა არ მოუციათ.



საქართველოს ებრაელობა შინ და გარეთ

ფორდი (Ford) თავისი რეკრეაციული მანქანებისთვის „ვატერგენის“ (Watergen) ინოვაციურ ტექნოლოგიას იყენებს

„ფორდ მტორ კომპანია“ (Ford Motor Company) და მსოფლიო ლიდერმა ატმოსფერული წყლის გენერაციაში-კომპანია „Watergen-მა“ ერთობლივი კოორდინაცია გაუწიეს ფორდის სამოგზაურო რეკრეაციული ავტომობილის შექმნას. „ვატერგენის“ ინოვაციური მოწყობილობა „მობილ ბოქსი“ (Mobile Box) არის მსოფლიოში პირველი სატრანსპორტო საშუალების საბმელი სისტემა, რომელსაც შეუძლია ძალისხმევის გარეშე ატმოსფერული ჰაერიდან ამოიღოს სუფთა წყალი. პირველად სისტემა წარდგენილი იყო ფორდ რეინჯერის პიკაპზე სპეციალიზებული ალტურვილობის ბაზრის ასოციაციის (SEMA) შოუში.

SEMA მთელი მსოფლიოდან იზიდავს 70000-ზე მეტ ორიგინალურ ალტურვილობის მწარმოებელს და „ფორდთან“ თანამშრომლობა ხაზს უსვამს, რომ კომპანია „ვატერგენს“ აქვს ამბიცია გახდეს გლობალური საავტომობილო მიმწოდებელი.

დოქტორმა მიხეილ მირილაშვილმა, „ვატერგენის“ პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, განაცხადა: — „ფორდი“ არის ერთ-ერთი უდიდესი ორიგინალურ ალტურვილობათა მწარმოებელი, ხოლო „ვატერგენი“ არის ლიდერი ატმოსფერული წყლის წარმოებაში. ეს თანამშრომლობა გვაერთიანებს, როგორც ორ უმსხვილეს ლიდერს, რომლებიც ერთად მუშაობენ იმაზე, რომ

ახალ სუფთა სასმელ წყალზე წვდომა უზრუნველყოფ.

„მობილ ბოქს“-ს შეუძლია დღეში 25 ლიტრამდე სუფთა სასმელი წყლის გამო-მუშავება, რაც აცილებს ბოთლით წყლის ტარების აუცილებლობას და ამცირებს პლასტმასის ნარჩენებს. უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლის მისაღებად „მობილ ბოქს“-ს სჭირდება მხოლოდ 12 ვოლტიანი ელექტრომომარაგება და სუფთა ჰაერი.

ფორდი დააყენებს „მობილ ბოქს“-ს, რომელიც ადვილი ტრანსპორტირებისთვის ალტურვილია გამძლე ბორბლებით, რეინჯერის პლატფორმაზე, სადაც ის დაიკავებს მინიმალურ ადგილს მისი კომპაქტური ზომების გამო (630 x 530 x 460 მმ). ტრანსპორტირების შესაძლებლობა ნიშნავს, რომ მტკნარი წყალი ყოველთვის ხელმისაწვდომია — იქნება ეს მოგზაურობა, კემპინგი, ან გარე სამუშაოები. „მობილ ბოქს“-ს მოწყობილობა ალტურვილია შესაცვლელი ფილტრებით და მინერალიზაციის სისტემით, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლის მუდმივ და საიმედო მიწოდებას.

სუფთა სასმელი წყლის წარმოების უნარი გარე წყლის წყაროზე დაყრდნობის გარეშე საგრძობლად ცვლის თამაშის წესებს იმათთვის, ვინც რეალურ თავგადასავალს ეძებს. მისი კომპაქტური დიზაინის გამო, „ვატერგენის“

„მობილ ბოქსის“ სისტემა შეიძლება დამონტაჟდეს გარედან სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებზე, მათ შორის სატვირთო მანქანებზე, მისაბმელებზე, ავტობუსებზე, სარეკრეაციო ტრანსპორტზე, საავტომობილო სახლებზე და ყველა სახის ფეშენებელურ საზღვაო, თუ სახლემდელო ტრანსპორტზე. მოწყობილობის წონა მხოლოდ 30 კილოგრამია, საწვავის მოხმარებაზე ზემოქმედება მინიმალურია. მთავარი, რაც სისტემას წყლის ოპტიმალური წარმოებისთვის სჭირდება, არის სუფთა ჰაერზე წვდომა, ტემპერატურა — 59-113° და ტენიანობა 20-99%.

SEMA-ს შემდეგ, „ვატერგენის“ „მობილ ბოქსით“ ალტურვილი „ფორდ რეინჯერი“ 12 თვიან ტურს დაიწყებს შეერთებულ შტატებში, სადაც ჟურნალისტები და საზოგადოებრიობის წევრები შეძლებენ შეისწავლონ მსოფლიოში პირველი ავტომობილის სასმელი წყლის სისტემა, რომელსაც შეუძლია ჰაერიდან სუფთა წყლის ამოღება „ვატერგენის“ ტექნოლოგიების გამოყენებით.



ჟურნალი „აუტდორ იქს 4“ (Outdoor 4 Magazine) 2021 წლის 3 ნომბერი

მბრალთა თანადგომა

პატარა ქალაქი ბუში ლონდონიდან 30 კილომეტრითაა დაჭორებული. ამასწინათ ქალაქ ბუშიში გამოჩნდა ავღანელ ლტოლვილთა რამდენიმე ლტოლვილი ოჯახი. საბრალოთ, რაც ტანზე ემოსათ იმით გამოასწრეს თალიბებს. სხვა არაფერი ებადათ — სიცოცხლე გადაირჩინეს. ლტოლვილთა შორის ბავშვებიც იყვნენ. ქ. ბუშის რაბინმა ელხანან ფელდმანმა ეს რომ გაიგო, აცეხოოკ-ის საშუალებით ქალაქის ებრაელობას მიმართალტოლვილებს, ვისაც როგორ შეგიძლიათ ისე დაეხმარეთო. სამი დღის შემდეგ სინაგოგის წინ მდებარე ავტომობილების დასაყენებელი ადგილი გორაკს დაემსგავსა. აქ აღმოჩნდა სამი ათასი პაკეტი და ყუთი იმ საგნებით, რომლებიც ლტოლვილებს სჭირდებოდათ და გამოადგებოდათ. ამათ შორის იყო 29 საბავშვო ეტლი, სათამაშოები. ამ სინაგოგაში მლოცველი ხანა როუზი ამბობს რომ დასჭირდათ სხვა მოხალისეთა მოხმობა, რომ ამოდენა შემონიროლობები დაეხარისხებინათ

რაბინი ფელდმანი ბი ბი სისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს რომ ქალაქის ებრაელობის აქტივობამ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენი ბებიები და ბაბუებიც ასევე ლტოლვილნი მოვიდნენ ამ ქალაქში და დღეს ისინი ამ სახელმწიფოს ვალს უზრუნველყოფენ. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ამ ქალაქში რამდენიმე ებრაული ოჯახი ცხოვრობდა. 1984წ. ბეით ქნესეთი ააგეს. ბეით ქნესეთში სეფერ თორა — თორის გრაგნილი ჰოლოკოსტს ჩეხოსლოვაკიაში გადარჩენილმა კაცმა შეიტანა. დღეს ქალაქში ორი ათასი ებრაელია.



გაით ქნესეთი ისლამურ ცენტრად?

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლის ხელმძღვანელობამ განიზრახა მიტოვებული ბეით ქნესეთი „სლა დარ ბიმი“ ისლამურ ცენტრად აქციონ — განაცხადა ლიბიელ ებრაელოთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა დირექტორმა დავიდ გერბიმ, რომელიც ამჟამად რომში ცხოვრობს — დღეს ლიბიაში ებრაელები აღარ შემორჩა და ადგილობრივი ხელისუფლება ებრაელოთა საკუთრებას თავისად აცხადებს. ეს ბეით ქნესეთი იტალიელმა არქიტექტორმა უმბერტო დე სინიმ დააპროექტა. მას თხოვეს დაეპროექტებინა „რომის ბეით ქნესეთის მსგავსი რესპექტაბელური ნაგებობა“ გასული საუკუნის 30-იან წლებში ამ ბეით ქნესეთში მიიღეს



იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელ მესამე, პრინცი უმბერტო, ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის სამხედრო ძალების მთავარსარდალი იტალი ბალბაი და თვით მუსოლინიც კი.

ლიბიაში ებრაელები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეათე საუკუნეში — სოლომონის მეფობის ხანაში გამოჩნდნენ. ბენ გაზიში აღმოჩენილი ჩვენთაღრიცხვამდე მეორე ს-ის — 146-წლის- დოკუმენტში აღნიშნულია, თუ რაოდენ კარგად ორგანიზებული და სიმდიდრით გამორჩეული ებრაული თემი ცხოვრობს ლიბიაში

„სამყაროს მართალნი. უკრაინა“

ბაბი იარის ტრაგედიის 80 წლისთავთან დაკავშირებით, ევრ-აზიის ებრაელოთა კონგრესის მხარდაჭერით გამოვიდა კრებული „სამყაროს მართალნი. უკრაინა“ ეს არის ნიგნი უკრაინის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში — ჰოლოკოსტის ფაშს ებრაელოთა გადარჩენისათვის იბრძოდნენ. „სამყაროს მართალთა“ ნოდებას 1963 წლიდან ანიჭებს მემორიალური კომპლექსი იად ვაშემი. ნიგნი შევიდა იმ 2 700 უკრაინელის სახელი და გვარი, რომლებმაც ჰოლოკოსტის წლებში ებრაელები ფაშისტების სიკვდილის მანქანას გამოსტაცეს. „სამყაროს მართალთა“ რაოდენობის მხრივ უკრაინა მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა. მთელ მსოფლიოში ეს საპატიო ნოდება ოცდაშვიდი ათას ადამიანს მიენიჭა.



ნიგნის პრეზენტაციაზე ევრაზიის ებრაელოთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა თქვა:

— მეორე მსოფლიო ომის საშინელ წლებში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ შეეძლოთ გულგრილად ეცქირათ იმ ტრაგედიისათვის, როგორც ფაშისტები ებრაელებს ეცქეოდნენ. ადეთი ადამიანი ბევრი იყო


„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია...“

ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ებრაელი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის ფერწერას საქართველოში კარგად იცნობენ — მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს, ამ ქვეყნის ღირსეულ შვილთა სახეებს. ამჯერად ცისანა ჯანაშვილს სულ სხვა ამპლუაში წარმოვიდგეთ — მან განიზრახა მკითხველს უამბოს მხატვრის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი მხატვრის ცხოვრებაზე.

„მ“ ნომრიდან ნომერში მოგაწვდით მხატვარი ქალის ნაფიქრ-ნაზრევს. გვჯერა მკითხველს დაინტერესებს იგი.

დავიბადე ქ. თბილისში (საქართველო), 1954 წლის 9 სექტემბერს. მამა (მიხეილ, მორდუხ ჯანაშვილი), მამის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო. დედა (ეკატერინა, ნადია ასიტაშვილი) ექთანი, იმ

მახსენებდნენ. განსაკუთრებით გერმონ ნიწუაშვილის გულიანი სიცილი მახსენდება... ეჭვიანიც ვიყავი: თუ დავინახავდი, რომ მამა, სხვას უთმობდა ყურადღებას, საშინლად განვიცდიდი, ერთხელ ამის



პერიოდში საექიმო-საკონსულტაციო კომისიის მდივანი გახლდათ. პირველი საცხოვრებელი ადგილი ბებისთან — მამის დედასთან გვექონდა, რომელსაც ყველა „სონა მამას“ ვეძახდით. მისი ნამდვილი გვარ-სახელი, სოფია მარმერი გახლდათ — დიდი რაბინის შვილიშვილი, წარმოშობით ვილნიუსიდან იყო. 18 წლის ბებიასურამელ ისაკ ჯანაშვილზე დაქორწინებულა, ჯანაშვილების ოჯახსა და თბილისის სინაგოგას საერთო კედელი ჰყოფდა. მაგისტრალურ ქუჩას კი ქართველი გენერლის ლესელიძის სახელი ერქვა, ხოლო ჩვენსას, ღვინის ჩიხი, რომლის ახლოს შეითან ბაზარი მდებარეობდა, მარცხენა მხარეს-კი „მეტეხის ციხე“... ერთი წლისაც არ ვიქნებოდი ხარფუხში (თელეთის 13) რომ გადასულვართ. სწორედ ხარფუხიდან იწყება ჩემი მეხსიერება, მისი მალღობებიდან ძველი თბილისის ზღაპრული ხედი „მეტეხის ციხით“... 1957 წელს მამა(მიხეილ ჯანაშვილი) წარჩინებით ამთავრებს აკადემიას, რომლის სადიპლომო ნაშრომი იყო - „განთიადის წინ“. ამავე წელს ოჯახში დაიბადა ჩემი ძმა, დათო...

რაც თავი მახსოვს, როგორც კი ფანქრის ხელში დაჭერა ვისწავლე, ვხატავ... ვიზრდებოდი მამის ყოველდღიური ცხოვრებით. ახლაც თვალწინ მიდგას მაშინდელი სურათო; თუ როგორი ენთუზიაზმით ხატავდა, გარშემო ფერწერული ტილოები და ზეთის საღებავების, ფერების სურნელი იდგა...თურმე მამას ხუთი წლის ასაკში გამოუმყლავნებია ხატვისადმი მისწრაფება და მეც ასევე... მამის ტელევიზორი სიახლე იყო, ბალეტმა გამიტაცა, ვიჯექი, ვუყურებდი და ვხატავდი მათ. ბალერინობა მინდოდა, მამას ვეხვეწებოდი ნავეყვან საბალეტო სკოლაში...ერთ დღეს, მამა ჩვეულებისამებრ ჩემს ნახატებს რომ ათვალიერებდა, თქვა: „ცისანა, შენ მხატვარი ხარ!“ მეც დავიჯერე, ეს მამის, როდესაც ამ სიტყვის გამოთქმაც მიჭირდა და ყველასთან ვამბობდი: „მე ხვატვარი ვარ! მოგვიანებით ამ სიტყვებს, მამის მეგობრები

გამო ავტირდი.მამა უცებ მოტირალდა და მტირალას ფოტო გადამიღო


... მამა ხატვასთან ერთად, გატაცებული იყო ფოტოხელოვნებით. ხარფუხში ხშირად გენახულობდ მამის უფროსი მეგობარი, ენათმეცნიერი, მორდუხ მამისთვალაშვილი, მოტკე ძიას ვეძახდი, მას ფოტოაპარატი მუდამ მომარჯვებული ჰქონდა და მისი გადაღებული კადრები ჩემს არქივში ინახება...მამა მუდამ თან მიტარებდა, კარგად მახსოვს მოტკე ძიას სახლი ფეთხანის უბანში. ხარფუხიდან გადავედი ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მე-3 კვარტალში, კორპუსი 13. ჯერ მე-60 სკოლაში ვიარე, შემდეგ კი 126-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. დიდი გულმოდგინებით ვწერდი საშინაო დავალებებს, თითქოს ასოებსაც ვხატავდი, მამა მიქებდა...დათოს სიმღერის ნიჭი გამოაჩნდა, მუდამ მღეროდა... პირველი ჩემი პერსონალური გამოფენა მოეწყო 126 -ე სკოლაში, მამის მე-4 კლასში ვიყავი. მამამ სტენდებზე ჩემი დახატული ბალერინები და პორტრეტები განათავსა...პორტრეტების ხატვა მე ხომ ბავშვობიდან შემეყვარდა. ნატურიდან ვხატავდი ყველას. დამლელი იყო მათთვის ჯდომა ნატურაში და მეც ვლელავდი თუ გამირბოდნენ. მამამ მიჩნია: „სარკიდან შენი ავტოპორტრეტი ხატე, შენი თავი ხომ არ გაგეცევაო“...რემბრანდტის ხელოვნება გამაცნო და მითხრა, რომ მას სამასზე მეტი ავტოპორტრეტი შეუქმნია...ასე ნამოვიწყე ავტოპორტრეტებზე მუშაობა და დღემდე დაუსრულებლივ ვხატავ...მამაჩემი განცვიფრებული რჩეობდა თუ როგორ ვიჭერდი პიროვნების მსგავსებას, დედაჩემს სიხარულით ეუბნებოდა: „ნადია, ცისანა ჩემზე უკეთ გადმოსცემსო ადამიანის მსგავსებას და ხასიათს“...სულ მიგროვებდა ჩანახატებს, და აღნიშნავდა: „შენ ამითი ფასი არ იციო“...თბილისიდან ისრაელში მოხვდა ჩემი ეს ადრინდელი — სკოლის ჩანახატები და ასევე სამხატვრო სასწავლებელში შესრულებული ფერწერები, რის შესახებაც 1981 წელს მამა ისრაელი-


დან მწერდა: „ჩემო ცისანა! აქ ისრაელში, შენი ნამუშევრები ძალიან ბევრ ოჯახში და კერძო კოლექციებში ვინახულე, რომლებსაც დიდი მონივნით ეპყრობიან და შენს თვალს არ დაუჯერებ ისეთ ძვირფას ჩარჩოებში აქეთ ჩასმული. ბაბრი მამისთვალისაგან შეუძენიათ. ერთ-ერთ კერძო კოლექციაში ვნახე შენი 25 ნამუშევარი.ზოგიერთის ფოტო კოპიები გადავიღე და გამოგიგზავნი“...როდესაც გადაწყდა ჩვენი ისრაელში ასვლა, მამამ ვერ შესძლო თავისი 500 და ჩემი 100 ნამუშევრის შესყიდვა, ისენი საბჭოთა კავშირის საკუთრებად ითვლებოდნენ...ამ დროს გამოჩნდნენ შეძლებული ხალხი და მათ გაუგზავნეს ისრაელში. იქ, მათ შორის განხეთქილება მოხდა და დავკარგეთ ყველაფერი, რის გამოც უდიდესი დარტყმა მივიღეთ...

1969 წელს მოვეწყვე იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ფერწერის ფაკულტეტზე. მამასაც აქ უსწავლია, დირექტორი ისევე კოტე კიკნაძე ბრძანდებოდა და ფერწერის მასწავლებელიც ვალენტინ შერპილოვი... თბილისში ცხოვრების ბოლო წლებში, მამას ნუცუბიძის ქუჩზე სახელოსნო მისცეს, ხატვაში ათენებდა ლამეებს ხშირად მეც მასთან ერთად ვათენებდი. მესაუბრებოდა წარსულ ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე...მიყვებოდა ბავშვობის წლებზე, თუ როგორ იკვლევდა დამოუკიდებლად გზას მხატვრობაში. პიონერთა სასახლეში ასწავლიდა საქართველოს სახალხო მხატვარი გრიგოლ მესხი, აკადემიაში კი- უჩა ჯავახიძე, კორნელი სანაძე, მოსე თოიძე, სერგო ქობულაძე...მის კურსზე იყვნენ გურამ



გელოვანი, ზურაბ წერეთელი, ზურაბ ნიჭარაძე... ზურაბ ნიჭარაძის და ჩვენი სახელოსნო ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობდა...ისრაელში გამგზავრების წინ, ბატონმა ზურაბმა თავისი ულამაზესი ფერწერული ტილო გვაჩუქა... ჩვენს ასობით ნამუშევრებთან ერთად ისიც დავკარგეთ... სამხატვრო სასწავლებლიდან სახელოსნოში მივდიოდი და განვაგრძობდი ფერწერაში მუშაობას... სახელოსნოში ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ ახლო მეგობრები-შალვა მარდახიას შვილი, სემიტილოვი ნისან ბაბალიკაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე ჯემალ





აობდი, საკმაოდ მომზადებული ვიყავი... ბევრი ცრემლი მადინა ამის თაობაზე ვალენტინ შერპილოვმა. ერთ დღესაც გაკვეთილი დავტოვე, გადავწყვიტე აღარ დავბრუნებულყავი, გამომეტანა ჩემი საბუთები სასწავლებლიდან, არა და სულ 4 თვე იყო დარჩენილი 4 წლიდან, როგორ მინდოდა დიპლომის მიღება... ხუთიანს არ დაგინერო, განრისხებულნი მიყვიროდა შერპილოვი, არ გეკუთვნისო... მეც ვუპასუხე, ვიცი, რომ ხუთიანის დონეზე არ ვარ, მაგრამ მთელი გულითა და სულით ვხატავ, ისიც ვუთხარი, რომ არ მაინტერესებს ნიშანი... ამაზე მთლად აენთო... ჩემი აზრით, ნიშნის გულისათვის არ უნდა ვხატავდე, უნდა მიყვარდეს... მუქარა: (ჩვენ ხომ გზაზე ვიდექით ისრაელისაკენ) ისრაელში მივწერო ჩემს ნაცნობ მხატვრებს, რომ გზები გადავიჭარხო... მამამ მომიკიდა ხელი და მიმიყვანა უკან, ხელის ჩაქნევა არ შეგეფერებო... ელაპარაკა შერპილოვს, თუ რამ გამოიწვია ეს, მას

კი უთქვამს ვეზუმრეო ისრაელზე... ასეთ პირობებში გავაგრძელე დიპლომზე მუშაობა ... 1973 წლის, 30 ივნისს დიპლომი დავიცავი, 5-იანი მივიღე... გაზეთ "თბილისში" სტატია იყო ჩვენს კურსდამთავრებულებზე, აღნიშნული იყო, რომ ჩემი სადიპლომო ნამუშევარი "რეპეტიცია" ფრიადზე შეფასდა და ჩემი გვართ ნამუშევრის ქვეშ, თანაკურსელის ნამუშევარი დაიბეჭდა, "ბალერინა". ამ გოგონას ვალენტინ შერპილოვი ამზადებდა და აი თურმე რატომ შემეწინააღმდეგა... ეს იყო, სიმბოლურად, მომავალი ჩემი ცხოვრების "რეპეტიცია"... რაც უფრო მეტ დაბრკოლებას ვაწყდებდი ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე, უფრო ვძლიერდებოდი — მეუფლებოდა ერთგვარი პროტესტი სიძნელეებისა და უსამართლობის მიმართ.

With Regards, Dalila Kriheli

აჯიაშვილი, ინჟინერი მორის დანიელოვი, ხელოვნებათმცოდნე ბაკურ ბაქრაძე, არქიტექტორი რუბენ პარლაგაშვილი, თოჯინების თეატრის რეჟისორი მოსე დანიელაშვილი, პოლიგლოტი იცხაკ დავითი და სხვა მრავალი... მათთან შეხვედრები დამრჩა ტკბილ მოგონებად... სახელოსნოში მოსულ მეგობრებს, მამა, დიდი სიამაყით ჯერ ჩემს ახალ ნამუშევრებს აცნობდა და მერე თავისას... ერთხელ იცხაკ დავითმა მთხოვა: "ცისანა, მე ლექსს წაგიკითხავ "ჰაიდელას" და შენი შთაბეჭდილებით პორტრეტი დამიხატო", შევესრულე, მეტად კმაყოფილი დარჩა... მამას უზარმაზარი შრომა აქვს გაწეული ახალგაზრდა თაობის ნიჭიერების გამოვლენაში. მამამ შთამაგონა და განმმტკიცა რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში, მარიგებდა: "ცისანა, როდესაც ხატვით დაიღლები, უბრალოდ, ყოველგვარი ფიქრისა და დაძაბულობის გარეშე, პალიტრაზე მასტეხინით ფერები შეაზავე და გადაიტანე ლაქებად ცარიელ ტილოზე, ისენი გიკარნახებენ და გიბიძგებენ ახალი ქმნილებებისკენ"-ო. ბევრი კომპოზიცია შევქმენი ამ მეთოდით...

შევარი აარჩია 100-იდან... მოლოცვებს ვიღებდი თანაკურსელებისაგან და მასწავლებლებისაგან... სადიპლომო თემად ბალეტი ავირჩიე. ჩემი პედაგოგი, ცნობილი ფერმწერი, ვალენტინ შერპილოვი შემეწინააღმდეგა, ბალეტი მეტად რთული თემაა და ვერ დაძლევე, მე არ დავეთანხმე, რამაც მასწავლებელი ძალიან გააღიზიანა... მუშაობას შევუდექი, საკმაოდ დიდი ტილო გადავიჭიმე, ეს უნდა ყოფილიყო "რეპეტიცია"... ორი წლის განმავლობაში ესკიზებზე ვმუშაობდი.

...დიდი სიყვარულითა და გატაცებით ვმუშაობდი ბალეტის თემაზე. ბავშვობის ოცნებას ხატვით ვანხორციელებდი. 1972 წელს, მე-3 კურსზე რომ ვიყავი, მამამ ჩემი ფერწერული ტილო "რეპეტიცია" წარადგინა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მონყობილ საგაზაფხულო გამოფენაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მხატვარი ქალები. ჩემს სიხარულს და გაცოცხლებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვიხილე ჩემი ნამუშევარი გაზეთ "მოლოდიოჟ გრუზიი"-ს ფურცლებზე, (25 მარტი, 1972 წ. ნომერი 37 (7277) გაზეთის ფოტო-კორესპონდენტმა ჩემი ნამუ-



ერის კაცო



ჩემი უახლესი წარსული დაკავშირებული პროექტთან „გაიცანით თქვენი შვილები“, რომელმაც ჩვენი თემის 174 წარმატებული ახალგაზრდა წარადგინა საზოგადოებრივის წინაშე. მათ ისრაელის თითქმის ყველა სფეროში შეიტანეს წონადი წვლილი და უცხოეთშიც გაუთქვეს სახელი ჩვენი ქვეყნის. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც საქართველოში, რუსეთსა და თუ სხვა ქვეყნებში მოღვაწეობენ. გადავხედო რა „ჩემს დავთარს“, დავინტერესდი, რას საქმიანობს ბორის ფიჩხაძე, ის ხომ პროექტს მონაწილე იყო დაახლოებით ცხრა წლის წინათ.

ძნელია იყო წარმატებული მშობლების შვილი, ხოლო ბორისის შემთხვევაში ეს გახლავთ „ის ურჩევნია მამულსა...“. ბორისის დედა, ქალ. ვიოლა ხანანაშვილი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულია, მან არაერთი თაობა აზიარა მუსიკის ჯადოქმის სამყაროს. ანგანსვენებული მამა — შურა ფიჩხაძე, ქიმიის პროფესორი გახლდათ. იგი ხელმძღვანელობდა უნიკალურ ლაბორატორიას საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, რადაც ფასდაუდებელი ცდები ტრეზობდა.

პატარა ბორისი სკოლის პარალელურად, მუსიკას ლიანა ენგებაროვის კლასში ეუფლებოდა — იმდენად ნიჭიერი იყო, რომ ჯანსუღ კახიძის მიერ მოწყობილ ვიქტორინა კონკურსებში მონაწილეობდა და საპრიზო ადგილებს იკავებდა. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ერთხელ ოპერა „კარმენის“ უვერტიურას უდირიჟორა.

16 წლის ბორისი ოქროს მედლით ხელდამშვენებული, ერთი გამოცდით ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე — არაფრად დაგიდევდათ 90იანი წლების უშუქობას, უტრანსპორტობას და ხშირად ფეხით დადიოდა მაღლივ კორპუსში. ასპირანტურაში სწავლის დროს კი, პროფესორ დავით მიქელაძის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გაფანტული სკლეროზის ბიოქიმიური საფუძვლები“, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. დაოჯახებამ შეანელა მისი მეცნიერული მუშაობა. ბორისის მიუხედავად, ნინო, ქიმიკოსია. მისი პროფილია სოფლის მეურნეობის

ეკოლოგიური წარმოება. ნინომ დაამთავრა შვეიცარიის ბუნების დაცვის ცენტრი. სამი შვილი ჰყავთ: ლექსო, მიხეილი და პატარა ვიკა, რომლებიც მშობლების ნათელ მაგალითებზე სწავლობენ და ვითარდებიან. ბორის ფიჩხაძე ხუთი წელი მუშაობდა რიტის ეტროლეუმ კომპანიაში, რომელმაც შუასრულა ყველა სახის სამუშაო, ნავთობგაყვანილობის ბაქოთბილისი სუფსას მაგისტრალზე. ამ საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელოს არ გამოპარვია ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტის, ბორის ფიჩხაძის მიდგომა გარემოს გავრთხილების მხრივ და იგი საუკეთესო ექსპერტად

აღიარეს. სულ ცოტა ხანში, იგი ელექტროსისტემების მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ხდება. თავდაც კი უკვირდა, როგორ უთავსებდა ამ ყველაფერს, ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობას. ვიდრე ამ კომპანიასთან ხელშეკრულება დაუმთავრდებოდა, ბორისმა მოასწრო ინგლისური ენის იმ დონეზე შესწავლა, რომ დიალექტებიც აითვისა. ამასობაში, საკუთარი ფირმის ჩამოყალიბების იდეაც მოუმნიფდა, რაშიც, უდაოდ დაეხმარა უცხოელ კომპანიებთან თანამშრომლობისას დაგროვილი გამოცდილება. პირველი შეკვეთა სწორედ ზემოხსენებული ბრიტანული კომპანიიდან მოუვიდა. მან, თავის გუნდთან ერთად, უზრუნველყო მშენებლობის ობიექტზე საცხოვრებელი ბაზების, კემპინგებისა და ბანაკების მოწყობა 1200 მუშისათვის წყალგაყვანილობითა და ელექტრომომარაგებით.

ბორის ფიჩხაძის დღევანდელი საქმიანობა შპს სამეცნიეროსანწარმოოს LCG მართვას, რომელიც სპეციფიკური ხასიათის პროექტებს ანხორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ შორის, რადიაციული უსაფრთხოების სისტემების დაყენება სახელმწიფო საზღვრებზე, საზღვაო პორტებსა და აეროპორტებში. ამ პროექტს ეწოდება შეცონდინე ეფენს როგრამ (ზურგის (მეორადი) დაცვის პროგრამა), რომელსაც ჯერ კიდევ 2007 წელს ჩაეყარა საფუძველი, აშშ იმდროინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის თაოსნობით და ახლაც გრძელდება. ამჟამად მიმდინარეობს ფოთის პორტის ფეხით მოსიარულეთა, საავტომობილო და სარკინიგზო გზების რადიაციული მონიტორინგის სისტემის მონტაჟი.

ინჟინერთა ამ კორპუსის ეგიდით 2011 წლიდან ხორციელდება სხვადასხვა პროექტი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ პროგრამის ფარგლებში აშენდა და გარემონტდა სკოლები, საბავშვო ბაღები, ლაბორატორიები, სასაზღვროსამეთვალყურეო სადგურები, ლტოლვილთა ცენტრები და ა. შ. დღეისათვის შენდება უნარშეზღუდულ ბავშვთა ზრუნვის ცენტრები თბილისსა და რუსთავეში, აგრეთვე პოლიკლინიკა ვაზიანში.

დავით იაკობაშვილის დახმარებით მიმდინარეობს ე. წ. „დამპალოს“ სასაფლაოს სრული განახლება, რაც გულისხმობს მთავარი გზების და ბილიკების აღდგენას, აგრეთვე ახალი ღობის მშენებლობას.

შარშან, რაბი სიმონ ნინუაშვილმა გამოსცა ნიგნი ქართულ ენაზე „შაბათის კანონები“ (ოვადია იოსეფის „იალკუტ იოსეფის“ მიხედვით), რომლის სრული ლიტერატურული და ტექნიკური რედაქტირებაც ეკუთვნის ბორის ფიჩხაძეს. ნიგნი უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ებრაელთა ქართულენოვანი აუდიტორიისათვის.

ბორის ფიჩხაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად დააფინანსა მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორია „პელკა“, რომელიც სპეციალიზირდება სხვადასხვა ინფექციური, სისხლის, ონკოლოგი-

ური და გულსისხლძარღვთა დაავადებების მოლეკულურ დიაგნოსტიკებასა და კვლევითი სამუშაოების წარმოებაში.

ბორისმა მეტად იუხერხულა, როდესაც უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით აღდგენილ სალოცავებზე ინფორმაცია ვთხოვე, მაგრამ უარი არ მაკადრა.

თბილისის აშქენაზების სალოცავში ჩაიყარა ახალი საძირკველი დაახლოებით 5 მეტრის სიღრმის დონეზე. მონოლიტური რკინა ბეტონის შენობა საყრდენი სვეტებით. საამშენებლო სამუშაოები (ამოთხრა, მიწის გატანა, საძირველისა და სვეტების ჩასხმა) კეთდებოდა ხელით, ვინაიდან ობიექტზე სამშენებლო ტექნიკის შესვლა, შუძლებელი იყო ქუჩის სივრცისა და მეზობელი შენობების გამო. ახალი შენობა სამსართულიანია. მიწის ზედაპირის ქვემოთ გაკეთდა ახალი სადარბაზო სივრცე. შეკეთდა და შეიმოსა პირველი, ძირითადი სართული და ქალებისთვის განკუთვნილი სართული. შენობა გარედან გრანიტის ქვით დაიფარა, ხოლო შიდა სვეტები, მარმარილოს ქვით. მოეწყო სრულიად ახალი ელექტრომექანიკური სისტემები და შესრულდა მოპირკეთების სამუშაოები სრული სპექტრი. სპეციალურად სალოცავისთვის, ჩეხეთში დამზადდა ქერი. შეიცვალა ავეჯი: სკამები, არონ ჰაკოდემი, თება და სხვა. გვერდზე აშენდა სამსართულიანი შენობა, რომლის ქვედა დონეზე განთავსდა მიკვე, ხოლო პირველ და მეორე სართულზე სველი ნერტილები და სალოცავის ადმინისტრაცია. ახალი სალოცავის საზეიმო გახსნა ჩატარდა 2009 წლის 15 სექტემბერს, რომელმაც დედაქალაქში დიდი რეზონანსი გამოიწვია. გახსნის დღისთვის შეაბრძანეს ქველმოქმედთა შემონიშნულობით დანერგული რამდენიმე სეფერ თორა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თბილისის აშქენაზების სალოცავის სპონსორები გახლავან: ალექსანრე მამუკეიჩი, დავით იაკობაშვილი, თემურ საპირი, კონსტანტინე მირელაშვილი, ბორის ფიჩხაძე, ვაჟა და მიხეილ მანაშორიევი, ბენი ელიშაიკოვი, იუსუბ იუსუბოვი და ვიტალი შაიევი. სპონსორთა თანხების განკარგვა ხორციელდებოდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის მიერ. კერძოდ, მისი გენერალური საბჭოს თავმჯდომარის, იოსებ ზისელისა და საქართველოში მათი წარმომადგენლის, ბორის ტაქსერის მიერ, რომელიც აგრეთვე სამუშაოების მიმდინარეობისა და ხარისხის დამკვირვებელი იყო. პროექტის ავტორი ელგუჯა ჯანაშვილია, შემსრულებელი შპს სამეცნიერო სანარმოო კომპანია ჩ ბორის ფიჩხაძის ხელმძღვანელობითა და უშუალო ჩართულობით პროექტის ყველა ძირითად ეტაპზე. ზურაბ ხანანაშვილი და ბუჟან კუკულაძე პროექტის არქიტექტორები გახლავან, ხოლო ინჟინრები, მერაბ კაცობაშვილი და ბესარიონ დავარაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი, ელდარ ჰუსეინოვი. დანარჩენი პროექტების სპონსორი ისევე და ისევე, დავით იაკობაშვილი, ევრაზიის ებრაული კონგრესის ჩარულობითა და კომპანია ჩ მონაწილეობით (ხელმძღვანელი ბორის ფიჩხაძე). ვიდრე სხვა სალოცავებზე გადავიდოდეთ, უპრიანია აღინიშნოს, რომ ქუთაისსა და ბათუმში სამუშაოთა მწარმოებელი გახლდათ ზურაბ კაცობაშვილი, ინჟინრები მერაბ კაცობაშვილი, გაიოზ ჯინჭარაძე და ელდარ ჰუსეინოვი. ქუთაისისა და თბილისის სალოცავების კედლებისა და ქერების მოხატულობა განახორციელა ზაალ ჟორჟოლიანმა. ელექტრო გაყვანილობების სისტემების მონტაჟს ყველა ობიექტზე, ასრულებდა ავთანდილ გოგლაშვილი. ქუთაისის სალოცავების პროექტების ავტორი ლევან რეხვიამევილია.

თბილისის დიდმა სალოცავმა, მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირება არ შეუწყვეტია, ნებისმიერ კატაკლიზმებს გაუძლო, რაც ებრაული სულის დამახასიათებელია. აქაც ძირეულად უნდა შეკეთებულიყო ყველაფერი. შეკეთდა სახურავი, კედლები სრულიად თავიდან მოიხატა. პირველ და საქალაქის სართულზე ახალი იატაკი დაიგო, დამონ-

ტაჟდა იატაკის გათბობა. სპეციალური პროექტის მიხედვითა და შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტის კონტროლით, განხორციელდა მიკვეს სრული აღდგენა, რომელიც მოიცავდა როგორც მექანიკური ნაწილის მონესრიგებას (წყლის შეგროვებამონოდება), ასევე ახალი საცავებისა და აუზების აგება მოპირკეთებას უშუალოდ მიკვეს დარბაზში.

ახალციხის სალოცავს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, გამოიცვალა კარფანჯარა, ხელახლა მოიხატა შიდა კედლები და ქერი. სრულიად განახლდა ელექტრო და წყალგაყვანილობა. ეზოგარემო გამწვანდა და გალამაზდა. მრევლის ნაკლებობის მიუხედავად, ლოცვები არ შეწყვეტილა.

ქუთაისის დიდი სალოცავისთვის კაპიტალური რემონტი დაიგეგმა და ეტაპობრივად სრულდებოდა. გამოიცვალა კარფანჯარა, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში წარდგენილი და დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ხელახლა მოიხატა შიდა კედლები და ქერი. ავეჯის რესტავრაცია სავალდებულო იყო და აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა მთელ ავეჯს. ინფრასტრუქტურა მთლიანად გამოიცვალა. შეკეთდა ფასადი და ეზოში დაიგო ახალი ფილები. მიმდებარე შენობაც კაპიტალურად გარემონტდა, მოეწყო ახალი სივრცეები: ადმინისტრაციული, სასადილო, სამზარეულო, აბანოები გასახდელებით და საწყობები. შესაბამისი ექსპერტის მეთვალყურეობით, გარემონტდა მიკვე და ჩატარდა წყლის შეგროვებამონოდების სისტემის მონტაჟი. მონესრიგდა აუზი და შემოიღობა ახალი მოაჯირებით.

ბათუმის სალოცავის ახალი პროექტი დაამტკიცა კულტურის ძეგლთა სააგენტომ. სრულიად აღადგინეს ფასადი, რომელიც ძალიან მიახლოებულია პირვანდელ სურათთან. მოეწყო ახალი კონდიციონერული ჰაერის მიწოდების სისტემები. ეზო მოპირკეთდა ახალი ფილებით. სერიოზული რემონტი ჩაუტარდა ადმინისტრაციულ შენობას და მონესრიგდა წყალმომარაგება.

ქუთაისის პატარა სალოცავი მოითხოვდა საფუძვლიან რემონტს. ძველი კარფანჯარა ახლით შეიცვალა. აქაც მოიხატა შიდა კედლები და ქერი, შეიცვალა წყლისა და კანალიზაციის მილები. ელექტროგაყვანილობა თავიდან დაამონტაჟეს, სპეციალურად გაინმინდა და შეკეთდა ფასადი.

ქუთაისის „მწვანე ყვავილას“ სალოცავში იყო სრულიად უნიკალური მოხატულობა კედლებსა და ქერზე, რომელიც ფილიგრანულ ზუსტ მუშაობას მოითხოვდა, რასაც წინებულად გაართვეს თავი. რასაკვირველია, ეს ეც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში წარდგენილი და დამტკიცებული პროექტის მიხედვით. გაინმინდა და შეკეთდა ფასადი, სახურავი, ხოლო კარები, ახლით შეიცვალა. მიმდებარე, ორსართულიანი შენობა რესტავრაციის შემდეგ, დღეს წარმოადგენს ხუთთაბიან სასტუმროს ახალი ინფრასტრუქტურით, საერთო სასადილოთი, სამზარეულოთი და აივნით.

კითხვაზე „რა არის შენი წარმატების საწინდარი?“ ბორის ფიჩხაძის პასუხი სწორედ მისთვის დამახასიათებელი გახლდათ:

— ჩვენ თავდაუზოგავად, გამჭვირვალედ, სუფთა ხელებითა და სრული თავდადებათ ვმრომობთ, თითოეული თავის ფრონტზე.“

მე კი დავძენ, რომ მის საუბარში სიტყვა „მე“ არ დომინირებს, იგი მრავლობითში ლაპარაკობს და სწორედ ეს არის მისი დიდი ღირსება, რამაც არ შეიძლება თითოეულ ჩვენგანს სიამაყის გრძნობა არ მოჰგვაროს. ამიტომაც ბორის ფიჩხაძეზე თხრობას დავასრულებ ილია ჭავჭავაძის სიტყვებით:

„დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას, „ნანერგითა შენით მარგე.““

ლია კრიხელი

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



ავარონ მდინარაძე

მ
ს
ი
მ
ც
მ

ფარაშა „ ვაიეცე“ ინყება სიტყვებით: „და გამოვიდა იაყაკოვ ბერშევიდან“ ჩვენი ბრძენი წერენ, რომ იაყაკოვ ავინუ 20 წელზე მეტი ხნით მიდის მისთვის უცხო გარემოში, როგორ უნდა გაუძლოს ამ ყველაფერს, როგორ არ უნდა უღალატოს ჰაშემს?

უცხოებაში როგორ უნდა შევინარჩუნოთ ეროვნულ-რელიგიური მემობა? ამის პასუხს ვპოვებთ იაყაკოვ ავინუს სიტყვებში: „თუ ჰაშემი მუდმივად იქნება ჩემთან და დამიცავს გზაში, მომცემს პურს და სამოსს, დამეხმარება მშვიდობით დავბრუნდე შინ, ჰაშემი იქნება ჩემი ღმერთი“

იაყაკოვ ავინუ ოთხ საკითხზე საუბრობს 1. თუ ჰაშემი მუდმივად იქნება ჩემთან და დამიცავს გზაში. როდესაც ადამიანი არის უცხო გარემოში, ჰაშემს განსაკუთრებული ყურადღება უნდა თხოვოს. როგორ მივალნიოთ ამას? თუ ჩვენ ვიქნებით მასთან, ის იქნება ჩვენთან, ის არის ყველგან.

ერთ პატარა ბიჭს უთხრეს: გვითხარი სად არის ჰაშემი და გაჩქებთ 1 მონეტას!
— მითხარით სად არის ის და მე მოგცემთ 2 მონეტას — უპასუხა ბიჭმა.

დასკვნა: ჰაშემი ყველგანაა, მაგრამ მისი მოწყალეობა არის მხოლოდ იქ, სადაც მას ელოდებიან.

2. მომცემს პურს და სამოსს - მნიშვნელოვანია ყველგან — შინ თუ გარეთ, ადამიანი მიერთმევედეს მხოლოდ დაშვებულ პროდუქტს, ასევე მნიშვნელოვანია არ დავივიწყოთ ჩვენი ჩაცმულობის წესები და არ მივყვეთ მოდას — შევინარჩუნოთ ის, რაც მიღებულია ჩვენი რწმენის მიხედვით, ყოველთვის და ყველა

შემთხვევაში ვალდებული ვართ, დავიცვათ და არ დავარღვიოთ თორის წესები.

3- დამეხმარება მშვიდობით დავბრუნდე შინ - მიუხედავად უცხოებაში ცხოვრებისა, არ დავივიწყოთ სად არის ჩვენი სამშობლო. ყოველთვის გვახსოვდეს რომ დადგება დაბრუნების დრო. როცა ისრაელები ამას ივიწყებდნენ, ადგილობრივი ძალიან მიძიმებდა და ტრაგიკულად შეასხენებდნენ.

იმის ცოდნა, თუ როგორი წინაპრები გვყავდა, ჩვენი წესების შესრულება, გვეხმარება ეროვნულობის შენარჩუნებაში

4- მაშინ ჰაშემი იქნება ჩემი ღმერთი - ვალდებული ვართ დავიცვათ ჩვენი ფასეულობები და ტრადიციები, მივყვეთ ჩვენი რაბინების სიტყვებს. ისრაელები ხშირად ხდებოდნენ საცხოვრებელი ქვეყნების პატრიოტები და მიუხედავად ამისა, მათ უმეტესწილად უყურებდნენ, როგორც უცხოებს და მტრებადაც მიიჩნევდნენ. მაგალითად, ბევრი ებრაელი თვლიდა თავს უფრო მეტ გერმანელად, ვიდრე თვითონ გერმანელე-ბი. როგორ დამთავრდა ეს ისტორია ყველამ კარგად ვიცით.

ამ ყველაფერს იაყაკოვ ავინუ თხოვს ჰაშემს არა მარტო თავისთვის, არამედ თავისი შთამომავლები-სთვისაც, რომლებიც იქნებიან გალუთში-განდევნილობაში ისრაელად დარჩენის მთავარი პირობა: არ დაივიწყო ვინ ხარ, შენი ერის წესები, ტრადიციები, ვინ არიან შენი წინაპრები. თუ ეს ყველაფერი გახსოვს, შეგიძლია, გაუძლო უცხო ქვეყანაში ყოფნას და სამშობლოში სრულყოფილი დაბრუნდე.


„მამის ნაამბობი“

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი იაკობ გაგულაშვილი არა მხოლოდ ღირსეული ღვთისმსახური, იუდაიზმის სიბრძნეთა ამომსხნელი გახლავთ, არამედ სხვა მრავალი თვისებით დაჯილდოებულიც. ამიტომაც არის იგი მრავალი საერთაშორისო საზოგადოებრივი რელიგიური ორგანიზაციის წევრიც და ხელმძღვანელიც. ამჯერად კი სრულიად სხვა ამპლუაში წარმოგვიდგინა თავი. მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ახალი წიგნი „მამის ნაამბობი“, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თუ რაოდენ ფართო მასშტაბის რელიგიური მოღვაწე ხელმძღვანელობს მსოფლიოს ქართველ ებრაელობის სულიერ ცხოვრებას.

წიგნი დაისტამბა, გვეჯრა, „მამის ნაამბობი“, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში და სხვა ქვეყნების ქართველი ებრაელობის ყოველ ოჯახში დაიდებს ბინას.

მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ მთავარი რაბინის-- იაკობ გაგულაშვილის მამა ასევე რელიგიური პირი გახლავთ და ისრაელის ქალაქ ბეერ შევას ქართველ ებრაელობას უძღვება.

რაბი იაკობ გაგულაშვილი



რაბი იაკობ შლომო იდილია ხაიმ აბრაამის ძე გაგულაშვილი - მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, იერუსალიმის და აშშ-ის მთავარი რელიგიური მოსამართლე დაიბადა 1966 წლის 3 აგვისტოს (ებრაული კალენდრით - 5726 წლის 17 აბ) ქ. ტაკაიში (დღევანდელი სნაკი). მისამართი: ტელ-აშენ ქ. 11. საქართველოდან ისრაელში ამიგდა 1972 წლის იანვარში. განათლება: 1976-1981 წ.წ. პონევიის დაწყებითი იშივა; 1981-1988 წ.წ. ხეი ბრაკის უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი

რაბი იაკობის მასწავლებლებიდან აღსანიშნავია: რაბი ელიეზერ მენაშემ მან ხაბი, რაბი დავიდ პოფრსკი, რაბი იაკოვ ისრაელ კანიფსკი (ტაკაიელი) გამცემელი წიგნები:


- 2006 წ. „სიახ იაკოვ“ - წიგნი I, ვრცელი კომენტარი „დებარაში“
- 2012 წ. „აჟადა შელ ფესახ“ - წიგნი დამად რელიგიური მკითხველისთვის;
- 2012 წ. „შლომის შირ პა შირიმის ფირუშები“ (განმარტებები);
- 2012 წ. „აჟადა შელ ფესახ“, კომენტარები ქართულენოვანი მკითხველისთვის;
- 2017 წ. „სიახ იაკოვ“ კითხვა-პასუხები (წიგნი I), თაღმუდის ღრმა კომენტარები რელიგიური მოსამართლეებისთვის;
- 2018 წ. „აღონ ხაშეთ“ - წიგნი II;
- 2021 წ. „სიახ იაკოვ“ კითხვა-პასუხები (წიგნი II);
- 2021 წ. ფუნდამენტური ნაშრომი - კომენტარი თორაზე (ხუთედი თავზე).

არის ავტორი რამდენიმე სულიერ ღრმა ანალიტიკური კომენტარისა და ნაშრომისა თორაზე, თაღმუდზე, პალახასა და სხვა ღრმა რელიგიურ საკითხებზე.

დაჯილდოებულია 1988 წლიდან, მუდღე - მირამ (მაია) გაგულაშვილი, ჰავეთ 3 ქალთშვილი და 1 შვილიშვილი, ლიამ ხაია.

I

მამის ნაამბობი



წიგნი პირველი

სიცოცხლის წიგნი

არიან შემოქმედნი, მეცნიერები, რომლებიც სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებიან თავიანთ პროფესიას, რის გამოც სავსებით დამსახურებულად ექცევიან ამათივე აუდიტორიის ყურადღების ცენტრში და შესამჩნევ კვალს ავლებენ ამათივე სფეროში. ეს ძალიან კარგია და ამ მეცნიერთა, შემოქმედთა მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როცა რომელიმე ამათგანი ქმნის თავისი სიცოცხლის მთავარ თხზულებას, მეცნიერულ ნაშრომს, ე.ი. იმას, რითაც იგი საკუთარ ადგილს იმკვიდრებს მეცნიერებასა, თუ შემოქმედებით პროცესში. ამ კუნძულს, მისი სახელი დაერქმევა და ეს ნათლობა სამუდამოა. პროფესორმა რეუვენ ენოხმა შექმნა ასეთი ნაშრომი — „ქართველ ებრაელთა ქართულის ლექსიკა.“ ეს წიგნი იერუსალიმის ებრაულმა უნივერსიტეტმა შარშან გამოცა და „მენორა“ ამის თაობაზე იუწყებოდა კიდევ, მაგრამ ამ ძვირფასმა ორტომეულმა ახლახანს ჩამოაღწია თბილისში და ჩვენც მკითხველს ხელახლა ვაუწყებთ ამ სერიოზული სამეცნიერო მიღწევის თაობაზე.

ორტომეულში (მოზრდილი ფორმატის 1400 გვერდამდე) შესულია ორმოცდაათი ათასზე მეტი სიტყვა, რომელთაც ქართველი ებრაელები ხმარობენ. ერთვის განმარტებები ქართულად, ივრითზე და ინგლისურად.. თითოეული სალექსიკონო ფორმატი ხუთი ნაწილისაგან შედგება: პირველი ქართველ ებრაელთა ლექსიკური ერთეულის ტრანსლიტერაცია, იგივე ერთეული ქართულისათვის ჩვეულებრივი ფორმით (თუკი არსებობს), თარგმანი ჩვეულებრივ ქართულზე, თარგმანი ივრითზე, თარგმანი ინგლისურად..



პროფესორი რეუვენ ენოხი ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ამ წიგნზე, აგროვებდა მასალებს. ავტორი დიდი მადლობით მოიხსენიებს იმ პირებს, რომელთაც

დახმარება გაუწიეს მასალის მოძიებასა, თუ ტექნიკური მხარის მონესრიგებაში.

ავტორს გადანწყვეტილი აქვს წიგნის საკმაოდ ვრცელი (ოცამდე გვერდი) წინასიტყვაობის ქართულად თარგმნა, რადგანაც ტექნიკური მიზეზების გამო, ამის გაკეთება წიგნში არ მოხერხდა. ჩვენი გაზეთი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ამ წინასიტყვაობას, რათა ქართულენოვან მკითხველს უფრო სრული წარმოდ-

გენა შეექმნას ამ წიგნის შესახებ. ორტომეული უკვე გამოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წიგნის მაღაზიებში და საკმაოდ დიდი წარმატებაც მოიპოვა. ვუსურვოთ ბატონ რუბენ ენოხს ახალი მეცნიერული წარმატებანი.

წიგნის თავფურცელზე აღნიშნულია, რომ გამოცემის ერთ-ერთი სპონსორი გახლავთ, თბილისის ჯამაათის წევრი — ბორის ფიჩხაძე



გადავხედოთ მსოფლიოს ებრაული თემების ყოფას

აუსტერდამის კორტუბალიური ბაით ქნესეთი

„ხოლო მე შენი უხვი წყალობით მოვალ შენს სახლში“ ფსალმუნის 58 . შლომო ჰამელეხის ეს სიტყვებია პირველი, რასაც აუსტერდამის დიდი სინაგოგის ეზოში შესვლისას კარიბჭეზე ვამჩნევ და სანამ შიგნით შევალ, თვალში მხვდება, რომ განახვავებით ანა ფრანკის მუზეუმიდან, აქ ორი მეტრი დისტანციის დაცვა არ მიმინევს, რადგან ახლო-მახლო არავინაა.

ესპანეთიდან და პორტუგალიიდან გამოდევნილი ებრაელების მიერ 1675 წელს აუსტერდამის ცენტრში

აგებული სინაგოგა თავის დროზე ყველაზე დიდი იყო მსოფლიოში. დარბაზი 400 მამაკაცსა და 350 ქალს იტევდა, ინვენტარი ძირითადად შენარჩუნებულია, ხის კიდობანში (დაახლოებით 1670 წელი) თორის გრაგნილებია შენახული, რომელთაგან უძველესი 1602 წლით თარიღდება. სინაგოგას 1000 ზე მეტი სანთელი ანათებს. შენობის კომპლექსს ეკუთვნის სემინარია, სადაც ბიბლიოთეკაა („ეც ხაიმ“) განთავსებული, რომელიც სეფარადიკის (სეფარადი ებრაელების ლიტერა-

ტურა) მრავალრიცხოვანი კოლექციის გამო მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ებრაულ ბიბლიოთეკადაა მიჩნეული. სემინარიის მეორე ოთახი ზამთარში სინაგოგად გამოიყენება, რადგან დიდ სინაგოგაში ძალიან ცივა. ეზოში განთავსებულ მუზეუმში სინაგოგის ძვირფასეულობა ინახება.

ამასთანავე გაახლებთ სინაგოგის ფოტომასალას.

თიკო თევზაძე



Wintersynagoge
Winter Synagogue
בית תפילה ימינו



დაგეგმვა და გამოცემა:
გურამ ბათიაშვილი,
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30



რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070
411.16
8-557
9771987898003